ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ინფორმაცია პრესისათვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"
მის: თბილისი, მარჯანიშვილის 7
ტელ: 2 27 27 27, ფაქსი: 772 774
e-mail: pr@tbcbank.com.ge

## მიხეილ ტყებუჩავას (მებაღე) წიგნის პრეზენტაცია თიბისი გალერეაში

<u>*29 სექტემბერს, 18:00 საათზე,*</u> თიბისი ბანკის ორგანიზებით, **თიბისი გალერეაში** შედგება ახალგაზრდა პოეტის **მიხეილ ტყებუჩავას, იგივე „მებაღის"** ოთხი პოეტური კრებულის პრეზენტაცია.
ეს წიგნებია:

- პოემები
- წამის ათასწლეული
- ბედნიერება აქვეა
- მოლბერტის კლავიატურა

მიხეილ ტყებუჩავა დაიბადა 1984 წელს, ქალაქ თბილისში. სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 2000 წელს დაამთავრა ოქსფორდის საზაფხულო სკოლა. არის 5 წიგნისა და 6 პოემის ავტორი, მათ შორისაა ათას სტროფიანი პოემა „წამის ათასწლეულიც", რომელიც მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. გადაღებული აქვს რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმიც: „პოეზიის ბაღი", „კინოპოეზია" , „პოეზიის ტაძარი"...

„მებაღე" მიხეილ ტყებუჩავას ფსევდონიმია. „მარტო ვარ, მაგრამ მთელი სამყარო ჩემია. არსად ვარ, მაგრამ ყველგან ვარ... ხან არქეოლოგი ვარ, ხან მონადირე, ხანაც უბრალო მებაღე დედამიწისა..." წერს პოეტი საკუთარ ჩანაწერებში...

წიგნების პრეზენტაციის შემდეგ მიხეილ ტყებუჩავას მეგობრები წაიკითხავენ ფრაგმენტებს ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებიდან.


- ფიზიკური პირების მომსახურება;
- კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვატორი საბანკო სფეროში;
- ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვატორი საქართველოში;
- ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- FitchRatings: B + and B
- Moody's: B 1 and Ba 3